პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 9 მარტი, 1948 წ. № 49 (8098). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დროულად დავამთავროთ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადება — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრების მისალმება ამხანაგ სტალინს (1-ლი გვერდი).

ქალთა საერთაშორისო დღე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრეჯიდუმისა (მე-2 გვერდი).

ამხანაგ სტალინს (მოსკოვი, კრემლი).

ქალთა საერთაშორისო დღე — საზეიმო სხდომა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში (3-ბ გვერდი).

ქალთა საერთაშორისო დღე (3-ბ გვერდი).

ბ. ბონდარევი — ფიზიკულტურული მუშაობის ახალი ეტაპი (3-ბ გვერდი).

ამერიკაკაცაციის რკინიგზელები ახალი ამოცანების წინაშე (3-ბ გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (3-ბ გვერდი).

დროულად დავამთავროთ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადება

1947 წლის დასაწყისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწოდა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინადადება მრეწველობასა, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების განახლების შესახებ. კოლექტიური ხელშეკრულებების დადების განახლებას ეროსულოვანი მოწონებით შეხვდნენ მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები. 1947 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა განხილვა მაღალი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობით ჩატარდა. კოლექტიურ ხელშეკრულებათა განსახილველად მოწვეულ კრებებზე შეტანილი იქნა ასეული ათასობით წინადადება, რომელთა უმრავლესობა შრომის უკეთ ორგანიზაციას, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების კიდევ უფრო სრულყოფილ-, უნიშრობის ტექნიკის გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და მუშათა კეთილეფაყიერის ამაღლებას შეეხებოდა.

მაღალი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა განსილი წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადება. ჩვენს რესპუბლიკაშიც. საწარმოებსა და მშენებლობებზე გამოყოფილი იყო წინადადებათა შეგროვება ბრიგადებში, შემოსული წინადადებებს ეულიამით ინოლიგენტნ საფბარეოო-საბარხნო კომიტეტები. მუშათა მრავალი წინადადება შეტანილ იქნა კოლექტიურ ხელშეკრულებებში. როგორც საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო ხელმძღვანელობამ, ისე მუშათა კოლექტივებმა, ხელშეკრულებებში კონკრეტული ვალდებულებები ჩამოაყალიბეს. კვარტალი ეროხელ საწარმოებად კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება.

შარშანდელმა კოლექტიურმა ხელშეკრულებებმა დიდი როლი შეასრულეს ჩვენი სამშობლოს სოციალისტური მრეწველობის წარმატებებში. კოლექტიური ხელშეკრულებების დადებამ განამტკიცა შრომის დისციპლინა, გაადიდა სამეურნეო ხელმძღვანელთა და მუშათა პასუხისგებლობის გრძნობა, ხელი შეუწყო საწარმოთა რეზერვებიერ მუშაობის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას, დაგრეგების გადიდებას, მუშა-მოსამსახურთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ ამაღლებას. უფრო ობერატიულად იწყეს მუშაობა პროფეფსიელმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ დადებით შედეგებთან ერთად, შარშანდელ კოლექტიურ ხელშეკრულებებს ისეთნაირი ნაკლოვანებებიც ახასიათებდა. ზოგიერთ ხელშეკრულებაში შეტანილი იყო მთელი რიგი ორარეალური მუხლები. მაგალითად, ავარიულობრაცია კისრულობდა საწარმოში ისეთი მანქანების დადგმას, რომელთა მიღება არარეალური იყო, კისრულობდა მუშებისათვის საცხოვრებელი სახლის აკეთებას, როცა გეგმით ასეთი მშენებლობა არ იყო გათვალისწინებული. საფბარიოო-საქარხნო კომიტეტებს ზოგჯერ ხელშეკრულებაში შეჭრილნდათ უმნიშვნელო მუხლები. ყოველივე ამის შედეგად ზოგიერთი ხელშეკრულების ტექსტი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ყველა მუხლის განხორციელება აღემატებოდა როგორც საწარმოს დირექციის, ისე საფბარიოო-საქარხნო კომიტეტის ძალოსნეს.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVII პლენუმმა პროფორგანიზაციებს დაავალა პარტია დაამთავრონ გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება და 1948 წლისათვის საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო ხელმძღვანელობასთან დასდონ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებები. პლენუმის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ახლა ფართოდ არის გაჩაღებული ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება და ახალი ხელშეკრულებებისათვის წინადადებების შეგროვება. მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა თვალ რიგ დარგებში უკვე დამთავრდა ხელშეკრულებათა შემოწმება და წინადადებების შეგროვება. კერძოდ, შემოწმება დამთავრებულია ჩვენი რესპუბლიკის ტრანსპორტზე, ნავთის, ქვანახშირის, აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებში.

საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის 9 საწარმოში ხელშეკრულების ამოწმებდა 64 ბრიგადა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო 1612 მუშა-მოსამსახურემ და ინჟინერ-ტექნიკოსმა. შემოტანილ იქნა 344 წინადადება. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, სადაც 8 ბრიგადა ამოწმებდა ხელშეკრულების შესრულებას, გამოირკვა, რომ კოლექტიური ხელშეკრულების ბევრი არსებითი მუხლი არ არის გაანდებული. მაგალითად, ფაბრიკის მიერ ფუღაცი გამოხატულებით გასული წლის საწარმოო გეგმის 113,6 პროცენტით განადღების მოუხდავად, 0,9 პროცენტი დააკლდა ხმი ქსოვილის გამოშვების გეგმის შესრულებას. ორგანიზაციულ-ტექნიკური მიზეზებით საქსოვ საამქროში დაზგა-დანადგარების მოცდენა ნორმით გათვალისწინებული 7,5 პროცენტის ნაცვლად, ფაქტიურად 17,5 პროცენტს უდრიდა. ამ საწარმოს საფბარიკო კომიტეტი სუსტად იბრძოდა კოლექტიური ხელშეკრულებების გათვალისწინებული ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის, სუსტად ხორციელდებოდა გამომეორნეტლობა და რაციონალიზატორული წინადადებანი, არ სრულდებოდა მუშათა შეკუნლებების გრაფიკი. საქსოვი საამქროს 232 მუშიდან, გასულ წელს სრული შეგებულებით ისარგებლა ახოლოდ 105 მუშამ. ადგილი ჰქონდა ზედაეტ მუშაობას, რაც გასულ წელს 4.800 კაცსაათს უდრიდა. ამავე საწარმოში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროზე ვერ დაამთავრეს 400 კვადრატული მეტრი მოცულობის მუშაობა საცხოვრებელი სახლის აგებაზე. შეუსრულებელია შრომის დაცვის ზოგიერთი მუხლიც.

ხელშეკრულების შემოწმებისას არსებითი ნაკლოვანებები გამოვლინდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატშიც.

კოლექტიური ხელშეკრულებები მთლიანად შესრულებული არ არის რკინიგზის ტრანსპორტზე, ნავთსადგომი უბნებსა და ნავთსარეგზაზე, პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებში და მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. განსაკუთრებით ჩამორჩენა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამინაო და კულტურული მშენებლობა.

როგორც საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ისე საფბარიკო-საქარხნო კომიტეტებმა გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულებების შემოწმების პერიოდში დიდი გამოცდილება შეიძინეს. შემოტანილი ათასობით ფრიად საქმიანი წინადადება, რომლებიც საფუძველად უნდა დაედოს ახალ ხელშეკრულებებს.

საჭიროა პროფკავშირთა რესპუბლიკურმა და საფბარიკო-საქარხნო კომიტეტებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უახლოეს დღეებში მთლიანად დაამთავრონ გასული წლის ხელშეკრულებათა შემოწმება, დროულად განიხილონ შემოსული წინადადებები და შეუდგნენ ახალ ხელშეკრულებათა დადებას, რათა ეს ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამეურნეო კამპანია გათვალისწინებულ დროზე დამთავრდეს.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებები უნდა იყოს კონკრეტული. მასში საჭიროა ზუსტად აისახოს როგორც საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო ხელმძღვანელობის, ისე მუშათა კოლექტივების ვალდებულებები. ეს ვალდებულებები კი ერთი მხრივ მიზნად უნდა ისახავდეს ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლას, მეორე მხრივ კი მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ განუხრელ ამაღლებას.

დროულად დავამთავროთ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება. მივაღწიოთ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ყველა მუხლის შესრულებას. ეროსულოვნად დავიჩაზმოთ ახალი სტალინური ხუთწლიდის მესამე წლის სამეურნეო გეგმების ვადამდე განსაღდებლად!

საფეიქრო მრეწველობამ გაღაჭარბებით შეასრულა თებერვლის გეგმა

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს თებერვლის გეგმა საერთო პროდუქციის დარგში 105 პროცენტით შეასრულა. ბამბეული ქსოვილების გამოშვების თვეური დავალება შესრულებულია 103 პროცენტით, სელისა—101 პროცენტით, შალისა — 100,4 პროცენტით, აბრეშუმისა — 103 პროცენტით, ავტოკორდისა — 107 პროცენტით, ბამბის ბოჭკოსი — 103 პროცენტით.

ორი თვის გეგმა საერთო პროდუქციის დარგში შესრულებულია 103 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 100,8 პროცენტით, აბრეშუმისა—102,5 პროცენტით, ბამბის ბოჭკოსი — 100,2 პროცენტით. საერთო პროდუქციის გამოშვება მთელ საფეიქრო მრეწველობაში 1948 წლის 2 თვის განმავლობაში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 34 პროცენტით გადიდდა. ბამბის ქსოვილების წარმოება გადიდდა 37 პროცენტით, სელისა — 30 პროცენტით, შალისა — 26 პროცენტით, აბრეშუმისა — 42 პროცენტით, ბამბის ბოჭკოსი—30 პროცენტით. (საქდესი).

ამხანაგ სტალინს

(მოსკოვი, კრემლი)

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეგ!

ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრება, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტისადმი, მაზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით ფქვენ, საბჭოთა ხალხის დიდ ბრძენ ბელადს.

მხურვალე სიყვარულის, ღრმა მადლობისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო.

ქალთა თანასწორფფლებიანობა მსოფლიოში არსად არ არის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ისე სრულად, როგორც ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა ქალის სრული პოლიტიკური და ეკონომიური თანასწორობა მამაკაცთან. საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პირობებში ქალმა, რომელიც გარემანისელი სტალინური მზრუნველობით, მიიღო თავისი ნიჭისა და შემოქმედებითი ძალის ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა.

ბოლშევიკურმა პარტიამ, თქვენ, ამხანაგო სტალინ, გვასწავლეთ ჩვენ, საბჭოთა ქალებს, უსაზღვრად გვიყვარდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, თავდადებულად ვზრუნობდეთ ხალხის საკეთილდღეოდ, ვზრდიდეთ ჩვენს შვილებს მსოფლიოში ყველაზე კეთილშობილური იდეების, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებისა და ბრძოლის ყველა ეტაპზე—ძალაუფლების რევოლუციური გზით მოპოვების პერიოდში, სტალინური ხუთწლედების წლებში, ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის მკაცრ დროს და მშვიდობიანი შენებლობის ომსშემდგომ პერიოდში, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის დღეებში საბჭოთა ქალები გამოდიოდნენ და გამოდიან ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვებისათვის აქტიურ მებრძოლებად.

ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების ახალ პერიოდში შევიდა. თქვენი ბრძნული წინამძღოლობით ბოლშევიკური პარტია ჩვენი ხალხის ნებისყოფასა და ენერგიას წარმართავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში ახალ ვამარჯვებათა მოსაპოვებლად.

აღვნიშნავთ რა ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს, პირობას ვაძლევთ ბოლშევიკურ პარტიას, პირობას გაძლევთ თქვენ, შობლიერო, საყვარელო ამხანაგო სტალინ, დაუფალავად ვიმეშაოთ იმ ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც თქვენ დაუსახეთ საბჭოთა ხალხს.

ჩვენ დაუღალავად ვიბრძოლეთ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ტემპების დასაჩქარებლად, წარმოების ტექნიკის დასაუფლებლად, ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ გასადიდებლად.

ვიმეშაოვთ რა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების დარგში, აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ იდეოლოგიური საკითხების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებათა განხორციელებაში, დაუღალავად შევეწყობთ ხელს მშრომელთა კომუნისტური შეგნების ზრდას, მოწინავე საბჭოთა კულტურის განვითარებას.

ჩვენი თავდადებული შრომა გამოხატულება იქნება ჩვენი უღრმესი მადლობისა საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, დიადი სამოქალაქო უფლებებისათვის, რომლებიც ქალს მიანიჭა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულმა კონსტიტუციამ, სტალინურმა კონსტიტუციამ, მშრომელ ქალზე, ქალ-დედაზე თქვენი უდიდესი მზრუნველობისათვის.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავარაზმავთ ჩვენს რიგებს ბოლშევიკური პარტიის გარშემო და კიდევ უფრო მტკიცედ ვიბრძოლეთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საბრძოლო პროგრამის უსწრაფესი განხორციელებისათვის, საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, დიდი სამშობოთა სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის.

გისურვებთ თქვენ, შობლიერო იოსებ ბესარიონის-ძეგ, მრავალეამიერ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ.

აყვავდეს ჩვენი მძლავრი საბჭოთა სამშობლო!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

დიდება ხალხთა ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს დიდ სტალინს!

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის სავაჭრო ურთიერთობის გამო

იმ მოლაპარაკების შედეგად, რაც უკანასკნელ დროს სწარმოებდა, 1948 წლის 3 მარტს კაირონი ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ეგვიპტის მთავრობების შეთანხმებას სავაჭრო საკითხებზე.

შეთანხმების პირობებით ეგვიპტის მთავრობა თავისი მარაგიდან საბჭოთა კავშირს მიაწვდის ბამბას, მარცვლეულს, ხე-ტყის მასალას, სულფატ-ამონიუმსა და სხვა საქონლის ნაცვლად. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება, რომ საერთო საგაჭრო შეთანხმებაზე დადამდე ეკაჭრობაში ორივე ქვეყანას შორის გამოყენებულ იქნება უმეტესი მფავრველობის რეჟიმი.

მოლაპარაკება მეგობრულ ატმოსფეროში წარიმართა და ცხადაყო ორივე მხარის სურვილი განავითარონ საკაჭრო ურთიერთობა.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ მ. მენშიკოვმა და ეგვიპტის მხრივ საგარეო საქმეთა მინისტრმა აშმედ კაშბა ფაშამ.

ქალთა საერთაშორისო დღე

საზეიმო სხდომა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში

8 მარტს საღამოს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრში შესდგა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრება, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღისადმი.

თეატრში არიან ქალები — სტახანოველები, ინჟინრები, საწარმოთა დირექტორები, მასწავლებლები, მუშები და მოსამსახურეები.

სცენის სიღრმეშია ხალხთა ბელადის დიდი სტალინის პორტრეტი. ვეებერთელა ტრანსპარანტზე წარწერილია სიტყვები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. შარია, მარშალი ტოლუბხინი, ს. იმშხოვი, მარიან ბურჩულაძე, გ. გოჩაშვილი, მ. ლელაშვილი, გ. ცქიტინელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ ყავეზავაძე, ლენინელი შემაჩენენე ეგვანნა ხუბულური და სხვები.

საზეიმო სხდომას ხსნის საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი ამხ. ნინო ჯაკობიშვილი-კოპაძიძე.

კრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით იჩრეკენ საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, ავოდეთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს.

ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მარიან ბურჩულაძემ.

—მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში, — ამბობს მომხსენებელი,—ქალები ყველაზე ჩაგრულნი არიან საზოგადოების ჩაგრულ ფენათა შორის, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მათ მამაკაცის თანასწორი უფლებები აქვთ და უკარესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამეურნეო, სახელმწიფოებრივ და კულტურულ მშენებლობაში. ქალები დიდი წარმატებით მონაწილეობენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი ქვეყანის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში.

საუკეთესო ქალები ხალხმა აირჩია შრომითი დეპუტატების საბჭოების დეპუტატებად. 277 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 57 ქალი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს შრომითი დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 9.510 ქალი.

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა საქართველოს სოციალისტური მინდვრების 22 მშრომელ ქალს. ბევრი კოლმეურნე ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში ქალი-დედა. „გმირი დედის“ სპატიო წოდება საქართველოში მინიჭებული აქვს 385 ქალს. ათასობით ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“. გასულ წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალშვილიან დედებს 85 მილიონზე მეტი ფანი დახმარება მიეცათ.

— საბჭოთა ქალი,—ამბობს დასასრულ ამხ. ბურჩულაძე, — ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული, კეთილად დაუცხრომელი ენერგიით თავდადებულად იმრეკავს თავისი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას, ამხ. ბურჩულაძე დღეგრძელობას უსურვებს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

დამსწრენი მხურვალე ოვაციით უპასუხებენ ამ სიტყვებს. ყველანი ფეხზე დგებიან. ტაში დიდხანს არ ცხრება.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის ი. ბ. სტალინისადმი მისალმების ტექსტი.

* * *

დასასრულ დაიდგა სპექტაკლი „ოტელო“. (საქდესი).

ფეიქართა მეჯიბრეობაში უნდა ჩაებან აბრეშუმის ქაუსსამოსხვევნი

სამდაზგოსანი ციალა ღლონტის გამოწვევა

ვმუშაობ მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკაში. მომსახურებას ვუწევ სამ ძაფსაღებ დაზგას, ნაცვლად ერთი დაზგისა. სამივე დაზგის მიხედვით 1947 წლის გეგმა შევასრულე 18 აგვისტოსათვის და გეგმის გადამეტებით ამოვაგებე 405 კილოგრამი პირველი და მეორე ხარისხის ქრეკა.

ჩემი მუშაობის მეთოდი ასეთია: სამივე დაზგაზე სამუშაო აღზენი ყოველთვის მუშაობის დაწყებამდე შემოწმებული მაქვს; მუშაობას ვიწყებ შემჩნეული დეფექტების წინასწარ გამოსწორების შემდეგ; მუშაობის დამთავრების შემდეგ დაზგას გასაფუფთავებულ ვტოვებ; ამავე დროს აღვრიცხავ დღის განმავლობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებს, რომელთა შესახებ ვეფათბირები მორგე ზეინკალს, რათა მან მეორე დღის დილამდე შესძლოს დაზგის შეკეთება და კარგად გამართვა. ეს მიადვილებს სამუშაო დროის სრულად გამოყენებას.

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკას მოწინავე სტახანოველის ლ. ასათიანის მაგალითისამებრ ვებრძეს ფეიქართა სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობ გრეკის ამოღების ხუთწლიანის 3 წელიწადსა და 4 თვეში. მოგეწერდეს საქართველოს აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკებში მომუშავე ყველა ძაფის ამომღები ჩაებან ფეიქართა შეჯიბრებაში ომისშემდგომი ხუთწლეულის ვადამდე შესრულებისათვის.

ინდივიდუალურად შეჯიბრებაში ვიწვევ თელავის ძაფსაღები ფაბრიკის ძაფსაღებელს ამხ. ფეიქრაშვილს, სამტრედიის ფაბრიკიდან ამხ. ცინცაძეს, ქუთაისის აბრეშუმკომბინატიდან ამხ. ხონელიძეს და წულუკიძის ფაბრიკიდან ამხ. ლაშვას.

ციალა ღლონტი

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის მრავალდაზგოსანი

სოციალისტური შრომის გმირები

გ. მ. ადაჟია

ახალციხის რაიონის შრომიელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმაინი ალების 22,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ბ. ა. ჯობავა

გალის რაიონის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის მერკულური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვეიეულ ჰექტარზე 70,00 ცენტნერი სიმინდის მოეგებისათვის.

ლ. ბ. ჯეჯელია

გალის რაიონის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მერკულური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვეიეულ ჰექტარზე 77,58 ცენტნერი სიმინდის მოეგებისათვის.

დ. ნ. ქუსიანიძე

ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების მოადგილე ინსპექტორი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმაინი ალების 33,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „კომუნისტის" 2, 3, 5, 6 და 7 მარტის ნომრებში)

შრომის წითელი დროშის ორდენით

274. **სამუშია** იპოლიტე მუსას-ძე — წალენჯიხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 50,45 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

275. **სანადირაძე** ნარიმან ნოეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 31,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

276. **სანაია** პისტი ბესარიონის ასული — ქალაქ ცხაკაიას ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 51,38 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

277. **სანაია** სამსონ ყარამანის-ძე — გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 77,26 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

278. **სანაია** სპირიდონ ტანას-ძე — ქალაქ ცხაკაიას ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 51,18 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

279. **სანაია** ჯოტო ყარამანის-ძე — გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 81,62 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

280. **სანგულია** ალექსი მეჯიჯის-ძე — გუდაუთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 75,97 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

281. **საფარიძე** ახმედ მევლუდის-ძე — ქედის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 60 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

282. **სარალიძე** ნიკიფორე ეფრემის-ძე — ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 62,84 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

283. **სართანია** ჯოგო პოკროს-ძე — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 57,5 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

284. **სართანია** ოლღა ბეგლარის ასული — გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 54,91 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

285. **სარუა** ვარლამ მოსეს-ძე — გალის რაიონის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 72,68 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

286. **სარუა** ვასილ ტურუს-ძე — გალის რაიონის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 72,68 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

287. **სარუა** ჯახუტი ბათულის ასული — გალის რაიონის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 72,68 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

288. **სევერინი** ჰანს მიხეილის-ძე — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 57,5 ცენტნერი სიმინდი მიიღო 24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

289. **სეფერიანი** ხორენ ხაჩიკის-ძე — გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 53,72 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

290. **სიგუა** ევგენი გიორგის-ძე — ცხაკაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 56,5 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,04 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

291. **სილაგავა** იაკობ თემრაზის-ძე — გუდაუთის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 55,3 ცენტნერი სიმინდი მიიღო 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

292. **სიმსიმა** შაბა ლაზოს-ძე — გუდაუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 55 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

293. **სიხარულიძე** ბოჩო მელიტონის-ძე — გალის რაიონის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 70,1 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

294. **სიჭინავა** ჩაისომ კონსტანტინეს-ძე — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 72,73 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

295. **სიჭინავა** იოსებ კონსტანტინეს-ძე—საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 27,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

296. **სიჭინავა** შოთა ევანეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 35,0 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

297. **სმირა** სულთან ჯგუტის-ძე — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 54,61 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

298. **სონგულია** მიხეილ მიქეს-ძე — წალენჯიხის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 50,66 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

299. **სულაკაძე** ვარლამ ივანეს-ძე — ქუთაისის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 53,3 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,03 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

300. **სუნგურტაიანი** მიგრან სოლომონის-ძე — გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 57,18 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

301. **თანდილაშვილი** ვასილ პეპოს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 70,21 ცენტნერი სიმინდი 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

302. **თანდილაშვილი** გიორგი ნიკოლოზის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 70,35 ცენტნერი სიმინდი 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

303. **თარბა** მუსურატ თაბაქის-ძე — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 54,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

304. **თარბა** ხაშიმ ტუგუს-ძე — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 62,1 ცენტნერი სიმინდი მიიღო 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

305. **ტარბაია** კაკაშა ხინტრის ასული — გუდაუთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 71,52 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

306. **თათარაშვილი** ალექსანდრე ფილიპეს-ძე — გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 57,8 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

307. **ტატულაშვილი** მარიამ არუთის ასული — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 60,31 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

308. **ტიხმუსი** ელმა ივანეს ასული — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 59,69 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

309. **ტყაბლაძე** ვლადიმერ პროკოფის-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ნაბიჯის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 75,42 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

310. **ტუქუზავა** პუპალ ბუტულის-ძე — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 56,58 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

311. **თოდუა** ალექსი სისოს-ძე—გალის რაიონის ძიგუას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 74 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

312. **თოდუა** იოსებ ტოტიას-ძე—ქალაქ ფოთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 63,9 ცენტნერი სიმინდი 15,05 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

313. **თოდუა** კაპიტონ ესტატეს-ძე — გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 51,14 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

314. **თოდუა** მარგარიტა ბახვას ასული — გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 57,7 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

315. **თოდუა** პრასკოვია ექვთიმეს ასული — გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 51,4 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

316. **თოდუა** სერაპიონ ივანეს-ძე — ფოთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 53 ცენტნერი სიმინდი მიიღო 9,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

317. **თოდუა** სერგი მიხეილის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 73,7 ცენტნერი სიმინდი 21 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

318. **თოფჩიანი** ზაქარია გიორგის-ძე — გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 52,06 ცენტნერი სიმინდი მიიღო 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

319. **თორდია** მარიამ ლევანის ასული — ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 58,48 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

320. **თურქაძე** ესაია მიხეილის-ძე—ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 73,85 ცენტნერი სიმინდი 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

321. **უბილავა** პარმენ ერმილის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" მერგოლური, რომელმაც 53,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

322. **უბილავა** მიხეილ პაშუტის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 65,36 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

323. **უზარაშვილი** შოთა ისაკის-ძე — გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 58,51 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

324. **ოგანიანი** ეპოფ საავის-ძე—გაგრის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 63,5 ცენტნერი სიმინდი 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

325. **ოდიშარია** სტეფანე ივანეს-ძე — ქუთაისის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 54,29 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

326. **ოკუჯავა** დორო გუგას-ძე—ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 73,7 ცენტნერი სიმინდი 21 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

327. **ორმოცაძე** ვარფინა კონსტანტინეს ასული — გალის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 71 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

328. **ოთხოზორია** მირიან სტეფანეს-ძე — გალის რაიონის კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაის" ბრიგადირი, რომელმაც 51 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

329. **ოტირბა** ლუტფი კასოს-ძე — გუდაუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 55,6 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

330. **უჩავა** პავლე კონსტანტინეს-ძე — გალის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 83,07 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

331. **ხარბედია** გაბრიელ ზოსიმეს-ძე — ცხაკაიას რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 56,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

332. **ხარბედია** კირილე ჯამლეთის-ძე — ცხაკაიას რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 53,77 ცენტნერი სიმინდი მიიღო 7,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

333. **ხარბედია** ჩონთო ჰეჩიკის-ძე — ცხაკაიას რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 80,59 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

334. **ხარებავა** შოთა ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 47,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

335. **ხარჩილავა** აბრამ ანდრიას-ძე — წალენჯიხის რაიონის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 61,41 ცენტნერი სიმინდი, 15,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

336. **ხარჩილავა** გაბო უნას-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 81,6 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

337. **ხარჩილავა** დერუ ტაიას-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 75,8 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

338. **ხარჩილავა** კაკა თემუს-ძე—წალენჯიხის რაიონის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 61,41 ცენტნერი სიმინდი 15,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

339. **ხარჩილავა** კინტირია ჯოტოს-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 83,7 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

340. **ხარჩილავა** მალექია ჯოტოს-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 83,7 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

341. **ხახაია** ვასილ ბეჟუას-ძე — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 64,84 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

342. **ხიდეშელი** ალიკო იაკობის-ძე — გაგრის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 50,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

343. **ხუნწარია** ამირან ვიქტორის-ძე — ცხაკაიას მტს-ის ტრაქტორისტი, რომელმაც თავი გამოიჩინა მტს-ში მუშაობისას, რომლის მომსახურების კოლმეურნეობებშიც მიღებულია 50,74 ცენტნერი სიმინდი 81,78 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

344. **ხუნწარია** ნარიკა ვიქტორის-ძე — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 64,1 ცენტნერი სიმინდი 32,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

345. **ხურცილავა** პარმენ ვლადიმერის-ძე — ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორ-ზუხპალტერი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 35,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

346. **ხურცია** ვალერიან ისიდორეს-ძე — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 64,1 ცენტნერი სიმინდი 32,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

347. **ხურცია** მირონ ივანეს-ძე—ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 64,1 ცენტნერი სიმინდი 32,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

348. **ხურცილავა** არტემ ნოროს-ძე — გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 77,26 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

349. **ხუცია** იროდი გიორგის-ძე — გალის რაიონის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 70,1 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

350. **ცენტერაძე** ვლადიმერ ილარიონის-ძე — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 51 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

351. **ცინძაძე** მარიამ ნიკიფორეს ასული — ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 64,2 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

352. **წიკოლია** გალაქტიონ მელიტონის-ძე — ფოთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 56,48 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

353. **წითლიძე** მიხეილ გიორგის-ძე — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 55,6 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

354. **წულაია** დიმიტრი სპირიდონის-ძე — ფოთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 57,46 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

355. **წულაია** შალვა ძუკუს-ძე—ქალაქ ფოთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 63,9 ცენტნერი სიმინდი 15,05 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

356. **წურწუმია** გიორგი კონსტანტინეს-ძე — ზუგდიდის პირველი მტს-ის ტრაქტორისტი, რომელმაც თავი გამოიჩინა მტს-ში მუშაობისას, რომლის მომსახურების კოლმეურნეობებშიც მიღებულია 41,3 ცენტნერი სიმინდი 219,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

357. **წურწუმია** ნოე კონსტანტინეს-ძე — ცხაკაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 54,94 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,45 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

358. **წურწუმია** რევაზ იასონის-ძე — ცხაკაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 52,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო 9,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

359. **წურწუმია** იასონ ძიკის-ძე—ცხაკაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 57,92 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,41 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

360. **წურწუმია** პლატონ ალექსანდრეს-ძე — გალის რაიონის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 70,1 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

361. **ცხომარია** მიხეილ ჩარხის-ძე — ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" მერგოლური, რომელმაც 59,62 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

362. **ჭავა** ხარიტონ ეფრემის-ძე—გალის რაიონის კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაის" წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 79,3 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

363. **ჭაკუა** ნოუშა ალექსანდრეს ასული—ქალაქ ფოთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 61,3 ცენტნერი სიმინდი 6,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

364. **ჩიმაგუა** ტიმო ივანეს-ძე — გუდაუთის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 50 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,75 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

365. **ჯანჯღავაძე** შოთა ილარიონის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 11,5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

366. **ჯანტურია** ივანე გელას-ძე — წალენჯიხის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 55,64 ცენტნერი სიმინდი მიიღო 15,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

367. **ჯანტურია** შოთა ბათლომის-ძე—ცხაკაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 51,55 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,03 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

368. **ჯარაია** როსტომ ტაგუს-ძე—წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 64,58 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

369. **ჩიჩავა** გიგო აკაკის-ძე — აბაშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 78,78 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

370. **ჩიჩავა** მიტროფანე ევანტეს-ძე — აბაშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 74,83 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

371. **ჩიჩავა** ტარასი შარვანის-ძე — აბაშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 78,78 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

372. **ჭედია** ლაზარე ხუხულის-ძე — აბაშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 74,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

373. **ჭეჟია** არჩილ ზოსიმეს-ძე — ზუგდიდის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 52,78 ცენტნერი სიმინდი მიიღო 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

374. **ჩემია** ვლადიმერ ივაკის-ძე — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 52,67 ცენტნერი სიმინდი მიიღო 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

375. **ჩირქეზია** ქარბეი ფილიპეს-ძე — ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 50,7 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

377. **ჩიჯავაძე** აკაკი მათეს-ძე—მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, კოლმეურნე, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 60,1 ცენტნერი სიმინდი 24,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

378. **ჩიკვილაძე** შოთა ანთიმოს-ძე — გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 51,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

379. **ჩიქობავა** კოკი ანტონის-ძე — ცხაკაიას პირველი მტს-ის ტრაქტორისტი, რომელმაც თავი გამოიჩინა მტს-ში მუშაობისას, რომლის მომსახურების კოლმეურნეობებშიც მიღებულია 46,2 ცენტნერი სიმინდი 87,29 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

380. **ჩილინგარიანი** ავედის ავედისის-ძე —გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 58,54 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

381. **ჩიხლაძე** ქსენია მიხეილის ასული—ქალაქ ფოთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 63,9 ცენტნერი სიმინდი 15,05 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

382. **ჩოლორია** ქეთევან ნაუს ასული —ოჩამჩირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 72,25 ცენტნერი სიმინდი 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

383. **ჯოჯუა** ვლადიმერ აბრამის-ძე—ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" ბრიგადირი, რომელმაც 56,1 ცენტნერი სიმინდი მიიღო 7,24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

384. **ჯოჯუა** როდიონ სიმონის-ძე — ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" მერგოლური, რომელმაც 51,75 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,66 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

385. **ჯურღულია** ფედოტ ლევანის-ძე—ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 78,63 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

386. **ჩხოტუა** ნიკოლოზ ბესარიონის-ძე—საქართველოს კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 23,4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

387. **ჩხოტუა** შალვა ვიქტორის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 27,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

388. **ჯავიშვილი** კიტა ნიკოლოზის-ძე —საქართველოს ალკკ მახარაძის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი აღების 31,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ამხ. გ. მიროტაძის მოხსენება გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისა და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

სამხრეთ ოსეთის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, მიუხედავად შარშანდელი გვალვისა, უხვი მოსავალი მოიყვანეს. ჯავის რაიონის სოფელ ქვემო ქარზმანის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 13 ცენტნერის ნაცვლად 48 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ამ კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ვ. ბახტურიძე ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი მიიღო. მოსავლიანობის გადიდებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა შრომადღის ღირებულების ამაღლებაში. სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობამ შრომადღეზე გასცა 6,1 კილოგრამი მარცვლეული, 560 გრამი კარტოფილი, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტები, ღვინო, ფული. ჯავის რაიონის სოფელ ქვემო ქარზმანის კოლმეურნეობაში შრომადღეზე გასცეს 15 კილოგრამი მარცვლეული, ამავე რაიონის სოფელ მუხალის კოლმეურნეობაში — 6,5 კილოგრამი, სტალინირის რაიონის სოფელ ზემო სნეკვის კოლმეურნეობაში — 9 კილოგრამი.

მაგრამ ოლქში არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც სათანადო ყურადღება არ ეთმობა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ბევრგან ძლიერ დაბალ მოსავალს იღებენ. ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობამ (სტალინირის რაიონი), რომელსაც 25 ჰექტარი შაქრის ჭარხალი ეთესა, ჰექტარზე საშუალოდ 16 ცენტნერი ჭარხალი მიიღო. სტალინირის რაიონის სოფელ გუჯაბაურის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 3,1 ცენტნერი შემოდგომის პური მოიყვანა. აქ სათესლე მარცვალიც ვერ მოიწიეს. დაბალი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ლენინგორის რაიონის სოფელ კოჩიანის, სოფელ საქორეთის კოლმეურნეობებში და სხვ. სტალინირის რაიონის სოფელ ქვემო დმენისის კოლმეურნეობაში 4 ჰექტარზე ეთესათ შაქრის ჭარხალი და ჰექტარზე მხოლოდ 5 ცენტნერი მოიყვანეს. ლენინგორის რაიონმა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა მხოლოდ 44,85 პროცენტით შეასრულა.

კოლმეურნეობებს დიდი სამუშაოების ჩატარება მოუხდებათ მიმდინარე წლის გაზაფხულზე. საგაზაფხულო კულტურები 24.490 ჰექტარზე უნდა დაითესოს. თავთავიანი და პარკოვანი კულტურების თესლის დამზადების გეგმა ოლქში შესრულებულია 116,2 პროცენტით. კოლმეურნეობებს აქვთ 1.345 ცენტნერი სათესლე კარტოფილი. მრავალწლიანი ბალახის თესლის მხოლოდ 17,3 პროცენტი მოიპოვება. საკმაო რაოდენობით არ არის აგრეთვე ერთწლიანი ბალახის თესლი.

კოლმეურნეობები ნაკლებად ზრუნავენ თესლის გაწმენდისათვის. 20 თებერვლისათვის ოლქში თავთავიანი კულტურების თესლის მხოლოდ 72 პროცენტი იყო გაწმენდილი და შემოწმებული. თესლის გაწმენდა და შემოწმება განსაკუთრებით ჭიანურდება ლენინგორისა და ჯავის რაიონებში. ოლქში ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთების საქმე: გუთნების შეკეთების გეგმა 70 პროცენტით არის შესრულებული, ზიგზაგებისა — 75 პროცენტით.

სერიოზული ამოცანები დგას სტალინირისა და ქსუისის მტს-ების წინაშე. წელს მათ 8.600 ჰექტარი ფართობი უნდა დაამუშაონ. მაგრამ არცერთ მტს-ს არ დაუმთავრებია ტრაქტორების რემონტი. ტრაქტორების შეკეთების ხარისხი დაბალია. განსაკუთრებით ეს ითქმის სტალინირის მტს-ზე. სტალინირის მტს-ში სატრაქტორო ბრიგადების დაკომპლექტება არ დამთავრებულა, ტრაქტორების მოძრაობის მარშრუტები არ შეუდგენიათ. ქსუისის მტს-ი უზრუნველყოფილი არ არის საწვავი და საცხები მასალით.

ოლქში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების 80 პროცენტი ცოცხალი გამწევი ძალით უნდა შესრულდეს, მაგრამ ბევრგან მუშა-საქონლის მოვლას გულგრილად ეკიდებიან. მუშა-პირუტყვს განსაკუთრებით ცუდად უვლიან სტალინირის რაიონის სოფელ ქვემო კორკულის, გაჯითიკაუს, გუჯაბაურის, ქსუისისა და სხვა კოლმეურნეობებში.

სახნავ-სათეს მიწებში სასუქის შეტანის გეგმა ოლქის კოლმეურნეობებს შესრულებული აქვთ მხოლოდ 46,5 პროცენტით. ეს სამუშაო განსაკუთრებით ნელა მიმდინარეობს ზნაურის რაიონში, აქ სასუქის მინდვრად გატანის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 30,8 პროცენტით.

მომხსენებელი შეჩერდა კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების შედგენის მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ რაიაღმასკომების სხდომებზე კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების დამტკიცება ზოგ შემთხვევაში ზერელედ ხდება. მაგალითად, ლენინგორის რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს ამტკიცებენ სრულიად უშენიშვნოდ და იღებენ ტრაფარეტულ დადგენილებას — „დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობას შეასრულოს მიმდინარე წლის ყველა სასოფლო-სამეურნეო გეგმები". მსგავსი მაგალითებია ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის პრაქტიკაში.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა მეცხოველეობის მდგომარეობაზე. ამ მხრივ უკანასკნელ წელს მოპოვებულ ერთგვარ წარმატებებთან ერთად თვალსაჩინო ნაკლოვანებებიც არის. განსაკუთრებით დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. მეძროხეობის ფერმებში ზოგან გეგმით გათვალისწინებული 500-550 ლიტრი რძის ნაცვლად თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 80-100 ლიტრ რძეს იღებენ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. კუდუხოვი შეეხო საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდში სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საკითხებს. კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჯიოევმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. მათ ნაკლებ დახმარებას უწევენ პარტიული ორგანიზაციები. ამ მხრივ გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე ამას წინათ სავსებით მართებულად გაკრიტიკებული იყო სტალინირის რაიონის ზემო არადეთის, ჩხარაულის და სხვ. საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, აგრეთვე კომკავშირის სტალინირის რაიკომი, რომელიც სათანადოდ არ ხელმძღვანელობს პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რ. ლაზარიშვილი (საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანი), ი. გალდავა (საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის მდივანი), ს. ჯიოევი (საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მდივანი), ა. ცხოვრებოვი (საქართველოს კ. პ. (ბ) ჯავის რაიკომის მდივანი) და სხვ. სულ 14 კაცი.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. სასწავლებელში მივლინების გამო საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლებულ იქნა ამხ. ვ. ალბოროვი. საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ი. კოლიევი. პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნად კადრების დარგში აირჩია ამხ. გ. მედოევი და შეიყვანა იგი საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში.

ვ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ამიერკავკასიის რკინიგზელები ახალი ამოცანების წინაშე

(გზის სამეურნეო აქტივის კრება)

ამიერკავკასიის რკინიგზელთა სამეურნეო აქტივმა სამი სხდომა მოანდომა გზის შარშანდელი მუშაობის შედეგებისა და რკინიგზელთა წინაშე 1948 წელს მდგომი ამოცანების განხილვას. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა გზის უფროსი ამხ. გ. კიკნაძე.

1947 წელს საბჭოთა ხალხმა,—ამბობს მომხსენებელი,—მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ახალი წარმატებები მოიპოვა. სერიოზული მიღწევები აქვს რკინიგზის ტრანსპორტსაც. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე გასულ წელს, 1946 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა. უფრო მეტად გაიზარდა უმნიშვნელოვანესი ტვირთების — ქვანახშირის, შავი ლითონების, ნავთობის, ხე-ტყის, ცემენტის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვა.

ჩვენი სამშობლოს რკინიგზის ტრანსპორტის საერთო წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის რკინიგზელებმაც. გასულ წელს ამიერკავკასიის რკინიგზამ დატვირთვის გეგმა 102,3 პროცენტით შეასრულა, გადმოტვირთვისა — 105,7, ხოლო მგზავრთა გადაყვანისა — 107,2 პროცენტით. გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად მიღწეულია 3 მილიონზე მეტი მანეთი ეკონომია.

მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, გზამ ვერ შეასრულა ტვირთზიდვის წლიური გეგმა ტონა-კილომეტრობით. ეს უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ გზის სამტრედიისა და ერევნის განყოფილებები სისტემატურად ვერ ასრულებდნენ დატვირთვის დავალებებს. უმნიშვნელოვანესი სადგურებიდან ჩამორჩნენ ტუაფსის, ბათუმის, ტყიბულისა და ლენინაკანის სადგურები.

ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და რენტაბელური მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გზის მოძრავი შემადგენლობის რაციონალურად გამოყენებას. ამ მხრივ გზამ შარშან, გაუმჯობესების ნაცვლად, მუშაობა გააუარესა. მაგალითად, ვაგონების ბრუნვა 3 საათით შემცირდა 1946 წელთან შედარებით, ხოლო 15 საათით ნაკლები იყო ნორმასთან შედარებით. გზის ვერცერთმა განყოფილებამ ვერ შეასრულა ვაგონების მიმოქცევის დაწესებული ნორმები. ვაგონების მიმოქცევის ნორმების შეუსრულებლობის გამო გზას შარშან დააკლდა 11.972 ათასი მანეთი შემოსავალი.

სადგურის უფროსებმა, გზის განყოფილებებისა და მოძრაობის დარგის ხელმძღვანელებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გააჩაღონ გზის მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე ჩამორჩენის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის.

1947 წელს ვაგონის საშუალო სადღეღამისო გარბენა უდრიდა 73,4 კილომეტრს, ნაცვლად 1946 წლის 74,7 კილომეტრისა. ვაგონების ცარიელი გარბენის პროცენტი 1946 წლის 43,3 პროცენტიდან გასულ წელს გაიზარდა 47,1 პროცენტამდე. სატვირთო მატარებლების განრიგით ტარება შემცირდა 85,8 პროცენტიდან 83,5 პროცენტამდე. მოძრაობის გრაფიკის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან გზის ერევნის, თბილისისა და სოხუმის განყოფილებები.

საორთქლმავლო მეურნეობამ ორთქლმავლების საშუალო შეკეთების გეგმა მთლიანად შეასრულა, ხოლო აწევითი და გარეცხვითი შეკეთებისა, გადაჭარბებითაც. მაგრამ შეკეთების ხარისხი ძალზე დაბალი იყო, ორთქლმავლების მატარებელთაშორისი შეკეთება 199 უდრიდა და აქედან გამოწვეული მოცდენა 20 ათას ორთქლმავალ-საათს შეადგენდა. ორთქლმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენა 16 კილომეტრით ნაკლები იყო 1946 წელთან შედარებით. საორთქლმავლო მეურნეობის შარშანდელ მუშაობაში ძირითად ნაკლს წარმოადგენდა აგრეთვე საწვავის დიდი რაოდენობით გადახარჯვა.

მეელმავლეებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ელმავლების შეკეთების 1947 წლის გეგმა. აწევითი შეკეთებიდან შეკეთებამდე ელმავლების გარბენა 120 ათას კილომეტრს უდრიდა, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 100 ათასი კილომეტრისა. მიუხედავად ამისა, ელმავლების ექსპლოატაციის ნორმები შეუსრულებელია.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა სავაგონო მეურნეობა, რომელმაც ვერ შეასრულა სატვირთო ვაგონების კაპიტალური, საშუალო და წლიური შეკეთების გეგმები. ამასთანავე ძალიან დაბალი იყო შეკეთების ხარისხი და ადგილი ჰქონდა წუნის მრავალ შემთხვევას.

სამგზავრო მოძრაობის ხვედრითი წონა ამიერკავკასიის რკინიგზაზე ძალიან დიდია. მიუხედავად ამისა, მგზავრთა გადაყვანას ჩვენს გზაზე ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები ახასიათებს. ხშირად ირღვევა მოძრაობის გრაფიკი, არადამაკმაყოფილებელია სამგზავრო ვაგონების ტექნიკური მდგომარეობა. გზის სამეურნეო ხელმძღვანელებმა მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი მგზავრთა გადაყვანის სისტემატური გაუმჯობესების საქმეს და უახლოეს დროში აღმოფხვრან ამ დარგში არსებული ნაკლოვანებები.

კაპიტალური მშენებლობის 1947 წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 81 პროცენტით. გეგმების შესრულებაში ჩამორჩნენ ელექტროფიკაციის, სალიანდაგო, მოძრაობის, სამგზავრო და საექიმო-სანიტარული მეურნეობები, აგრეთვე ზოგი სამშენებლო ობიექტები.

ამას წინათ რკინიგზების კავკასიის ოლქის უფროსთან არსებულმა მუდმივმა თათბირმა განიხილა ჩვენი გზის 1947 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და აღნიშნა შემოსავლის, ხელფასის ფონდის ეკონომიის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და გადაზიდვების თვითღირებულების შემცირების გეგმების შესრულება, ამასთანავე მიგვითითა მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებზე. მარტო სათბობის, მასალების დარგში და სხვ. გასულ წელს გზაზე გადახარჯულია 6.800 ათასი მანეთი. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს გზის საფინანსო მდგომარეობაზე მთელ რიგ საწარმოებში შრომის არასწორი ორგანიზაცია და ზედმეტ საათებში მუშაობა. შარშან გზაზე ზედმეტ საათებში მუშაობა 550 ათას საათს უდრიდა, ხოლო მუშახელის მოცდენა 176 ათას საათს შეადგენდა.

შემდეგ მომხსენებელმა გააშუქა უშიშროების ტექნიკის დაცვის, კადრებთან მუშაობის, კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების, დატაცება-გაფლანგვისა და მითვისების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე წელს, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — ამიერკავკასიის რკინიგზელთა წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. წელს ამიერკავკასიის რკინიგზამ კიდევ უფრო განუხრელად უნდა გაადიდოს დატვირთვის ტემპი და 1949 წლის სექტემბრისათვის მიაღწიოს 1950 წლის გეგმის დონეს. ამ მიზნით აუცილებელია ვაგონების დგომა ერთ ტექნიკურ სადგურზე 10 საათიდან შევამციროთ 8 საათამდე, ერთი სატვირთო ოპერაცია 20 საათიდან დავიყვანოთ 18 საათამდე; 16,4 კილომეტრიდან 20 კილომეტრამდე გავადიდოთ საათში კომერციული სისწრაფე, რომ ამით 16 საათით დავაჩქაროთ ვაგონების სადღეღამისო მიმოქცევა და რეზერვიდან გავათავისუფლოთ ათეულათასობით ვაგონი ტვირთზიდვის შემდგომი ზრდისათვის. გზის ყველა განყოფილებასა და საწარმოში ფართოდ უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და ბრძოლა მიმდინარე წლის დავალებათა დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავისათვის შესასრულებლად.

მშენებლებისა და მემონტაჟეების მოვალეობაა გააძლიერონ ბრძოლა კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების მთლიანად ათვისებისათვის. უნდა ავამუშაოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიცაა რიონ-ტყიბულის, ნავთლუღ-ალსტაფის, სამტრედია-ფოთის ელექტროფიცირებული უბნები; განვახორციელოთ ავტობლოკირება, ისრების ცენტრალიზაცია და მთელი რიგი სხვა სამუშაოები.

ამხ. კიკნაძის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ჩაჩანიძე, მორჩაძე, ერზინკიანი, ნემსიწვერიძე, გარიბიანი, ნავასარდოვი, ტაბატაძე, მეტონიძე, დავითაშვილი, ლომიძე, ქავთარაძე, ლეჟავა, გოგოლაძე, მელქაძე, კელენჯერიძე, ესაკია, მარინაშვილი, ვარდოსანიძე და სხვები, სულ 35 კაცი.

აქტივის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ ტრანსპორტის დარგში ამხ. მ. ბალავაძემ.

აქტივმა დასახა ღონისძიებანი 1948 წელს რკინიგზელთა წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

აქტივმა ერთსულოვანი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მრეწველობის დარგში ამხ. ა. თოფურიძე.

ფიზკულტურული მუშაობის ახალი აღმავლობისათვის

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დიდი ამოცანები დაუსახეს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. უკანასკნელ წლებში ფიზკულტურულმა მუშაობამ დიდი გასაქანი მიიღო: თუ 1946 წელს ჩვენ გვყავდა 2.800 ფიზკულტურული კოლექტივი და წრე, 1948 წელს გვყავს 4.512. ამავე პერიოდში ფიზკულტურელთა რაოდენობა 155.000 კაციდან გაიზარდა 208.000 კაცამდე. თანრიგის მქონე სპორტსმენთა რიგები ერთიორად გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე მასობრივი ფიზკულტურულ-სასპორტო შეჯიბრებების რაოდენობა. 1946 წელს ჩატარდა 3.000 რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური შეჯიბრება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 239.000 კაცმა, ხოლო 1947 წელს ჩატარდა 6.762 შეჯიბრება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 310.000-ზე მეტმა ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა.

საქართველოს სპორტსმენებმა საკავშირო სასპორტო შეჯიბრებებში კარგ შედეგებს მიაღწიეს სპორტის მთელ რიგ სახეებში. მაგალითად, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მათ პირველი საგუნდო ადგილი დაიკავეს და მიიღეს სსრ კავშირის ჩემპიონთა სახელწოდება. თავისუფალ ამერიკულ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში და კრივში ჩვენმა ფიზკულტურელებმა მეორე ადგილები დაიკავეს.

ორი ომისშემდგომი წლის განმავლობაში საქართველოს ფიზკულტურელებმა დაამყარეს 129 რეკორდი, მათ შორის 7 საკავშირო და ერთი მსოფლიო. რესპუბლიკა ამაყობს თავისი საუკეთესო სპორტსმენებით, როგორიც არიან ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, ზაალიშვილი, ქოიავა, თაყაიშვილი, სანაძე, ქავთელაძე, ჯუღელი, გავა, ხაფუკაშვილი, ვართანოვი, ნოვოსარდოვი, ღუდუშაური და სხვები.

გასულ წელს მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ფიზკულტურული მუშაობა სოფლად. ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობა გაიზარდა 221-ით, ხოლო ამ კოლექტივების წევრ ფიზკულტურელთა რიცხვი 12.200 კაცით. სასპორტო სექციებში ამჟამად მეცადინეობს 48.000 კაცი, 14.000-ით მეტი, ვიდრე 1946 წელს.

შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობა ახალგაზრდა სპორტული კადრების აღზრდისათვის. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 53 საბავშვო სპორტულ სკოლაში სწავლობს 7.000-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი. ორ სასპორტო სკოლაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს 400 ახალგაზრდა სპორტსმენი. გასულ წელს ფიზიკური კულტურის საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა 64 კაცმა. ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმმა გამოუშვა 73 კაცი. სპეციალურ კურსებზე მომზადებულია 3.500-ზე მეტი ფიზკულტურის ხელმძღვანელი და ინსტრუქტორ-მასწავლებელი. გორის, ქუთაისისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან შექმნილია სპეციალური ფიზკულტურული ფაკულტეტები.

მასობრივი სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სასპორტო ბაზა. ამჟამად რესპუბლიკაში არის 8 სტადიონი. ფოთში იპოდრომი-სტადიონია აგებული. გვაქვს 600-მდე ფეხბურთის მინდორი, 2.277 ყველა სახის სასპორტო მოედანი, 150-მდე სასპორტო დარბაზი და სხვ. თბილისში შენდება სტადიონი „კრილია სოვეტოვ". სტადიონები შენდება აგრეთვე ქუთაისში, გორში და სხვა ქალაქებში. 1947 წელს შეკეთდა 2 სტადიონი, 7 სასპორტო დარბაზი, მცხეთის წყალსაჯომარდო სადგური, ბაკურიანის მეთხილამურეთა ბაზა, თბილისის ველოსტადიონი, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის, ავტო-მოტოკლუბის და სხვა შენობები. გაიზარდა სასპორტო ინვენტარის გამოშვება.

ამ მიღწევებთან ერთად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ფრიად სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებენ ფიზკულტურული მოძრაობის ზრდას, ხელს უშლიან მოსწავლეთა, სტუდენტთა, მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის უფრო მაღალ დონეზე აყვანას.

ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში მთავარია მასობრიობა. მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის არასაკმაო განვითარების შედეგად ჩვენ გვაქვს სერიოზული ჩამორჩენა სპორტის მთელ რიგ სახეებში, რომლებსაც დიდი თავდაცვითი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ველოსპორტს მისდევს რესპუბლიკაში 2.000-მდე კაცი, მათ შორის თანრიგი აქვს 68 კაცს, საცხენოსნო სპორტს—2.000-მდე კაცი, თანრიგის მქონეა 240, ალპინიზმს —170 კაცი, ტურიზმს — 800 კაცი. უკეთესად არ არის არც ცურვის, მოთხილამურეობის, ნადირობის, ფარიკაობის და სპორტის ზოგიერთ სხვა სახეთა განვითარების საქმე. წარმატებების მიუხედავად, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სპორტის ისეთი მნიშვნელოვანი სახეების შემდგომ განვითარებას, როგორიცაა ტანვარჯიში, მძლეოსნობა.

ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მომზადება შრომისა და თავდაცვისათვის ყველა ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციის მუშაობის საფუძველია. მიუხედავად ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში „მშთ" ნიშნოსანთა მომზადების საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ამოცანა ის არის, რომ საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და კოლმეურნეობებში გავაჩაღოთ მასობრივი მუშაობა „მშთ" კომპლექსის პროპაგანდისათვის, ამასთან ფართოდ ჩავაბათ მშრომელნი ამ ნორმების ჩაბარებაში. ეს მუშაობა უნდა მოეწყოს ზუსტად დამუშავებული გეგმის მიხედვით. თვითეულმა ძირეულმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ყოველმხრივ და ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს თავისი რეალური შესაძლებლობანი და შეადგინოს „მშთ" ნიშნოსანთა მომზადების გეგმა, ხოლო ფიზკულტურის კომიტეტები და ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა საბჭოები ვალდებული არიან გულმოდგინედ განიხილონ ეს გეგმები. ამგვარად შედგენილი რაიონული თუ საქალაქო გეგმა მისი დამტკიცების შემდეგ იქნება მტკიცე სახელმწიფო დავალება, რომლის შესრულება სავალდებულოა ყოველი ფიზკულტურული ორგანიზაციისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზკულტურულ მუშაობას სოფლად. ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა ჯერ კიდევ საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე მიგვითითა, რომ საჭიროა სოფლად ფიზკულტურული მოძრაობის ყოველმხრივ განვითარება და მშრომელი გლეხობის ჩაბმა „მშთ" ნორმების ჩაბარებაში. მიუხედავად ამისა, ფიზკულტურული მუშაობა სოფლად ჯერ კიდევ ჩამორჩება. ბევრ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში, სასოფლო კლუბში არ არის ფიზკულტურული კოლექტივები და წრეები, სასპორტო მოედნები, ფეხბურთის მინდვრები, არა აქვთ სასპორტო ინვენტარი. ფიზკულტურის კომიტეტები და სპორტული საზოგადოებები სუსტად ხელმძღვანელობენ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს.

საქართველოში არის 4.000-ზე მეტი კოლმეურნეობა, 62 საბჭოთა მეურნეობა და 63 მტს-ი, ხოლო ფიზკულტურის საკოლმეურნეო და სასოფლო კოლექტივი და წრე არის მხოლოდ 1.444, რაც 34,4 პროცენტს შეადგენს. მაგალითად, ახმეტის რაიონში ფიზკულტურული კოლექტივები არის მხოლოდ 6 კოლმეურნეობაში. რაიონს აღებული ვალდებულება „მშთ" 25 ნიშნოსნის მომზადების შესახებ არ შეუსრულებია. თელავის რაიონში ფიზკულტურული კოლექტივი არის მხოლოდ 6 კოლმეურნეობაში. პირველი საფეხურის „მშთ" ნიშნოსანთა მომზადების გეგმა რაიონში შესრულებულია 83 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობებში—18 პროცენტით. ანალოგიური მდგომარეობაა ლანჩხუთის, ჩხარის, ქვემო სვანეთის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებში.

ძირეული ფიზკულტურული ორგანიზაციების განმტკიცებასთან ერთად საჭიროა ავამაღლოთ ფიზკულტურის კომიტეტების ხელმძღვანელი როლი. ფიზკულტურის თვითეული კომიტეტის უპირველესი ამოცანაა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ფართოდ გაშალონ მარტივი სასპორტო და საფეხბურთო მოედნების, სატანვარჯიშო ქალაქების და სხვათა მოწყობა კოლმეურნეობებში, სკოლებსა და სასოფლო კლუბებთან.

მოწინავე ორგანიზაციების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ საქმის უნარიანი მოწყობით შესაძლებელია კოლმეურნეობისა ან სკოლისათვის საჭირო სასპორტო ბაზის შექმნა სახელმწიფო ხარჯების გაუწევლად. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ ოქუმში საზოგადოებრივი ძალებით აშენდა იპოდრომ-სტადიონი, გორის რაიონის სოფელ კარალეთში მოეწყო სასპორტო მოედანი, ქუთაისის რაიონის სოფელ ქვახჭირში აიგო სასპორტო დარბაზი და სხვ. კომკავშირის ინიციატივით ჩატარებული სკოლებთან სასპორტო მოედნების მშენებლობის ერთთვიურის განმავლობაში მოსწავლეებმა და კომკავშირელებმა ააგეს 189 სასპორტო მოედანი, 12 საფეხბურთო მოედანი, 7 სატანვარჯიშო ქალაქი, დაბრკოლებათა 29 ზოლი. ბათუმის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ყველა საშუალო სკოლაში შეაკეთეს სასპორტო მოედნები, დარბაზები და ინვენტარი.

ქალაქებსა და სოფლებში კარგი სპორტული კადრების შესაქმნელად საჭიროა სისტემატურად ტარდებოდეს საწარმოებსა, სასწავლებლებსა, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის პირველობის გათამაშება სპორტის ცალკეულ სახეებში, ეწყობოდეს რაიონული და საქალაქო სპარტაკიადები.

საქართველოს ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის უპირველესი პირობაა ფიზკულტურული კადრების შესწავლა, შერჩევა და შენარჩუნება. საჭიროა მუშაკების სისტემატური შესწავლა, ინიციატივიანი, შემოწმებული ადამიანების გაბედული დაწინაურება. სასპორტო საზოგადოებათა საბჭოებმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა უნდა შექმნან კადრების რეზერვი საშტატო ფიზკულტურული მუშაკებისაგან და აქტივისტებისაგან მათი დასაწინაურებლად ხელმძღვანელ პოსტებზე. ფიზკულტურის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მოვალეობაა შექმნან არასაშტატო ინსტრუქტორთა ინსტიტუტი და მათი დახმარებით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ფიზკულტურული კოლექტივების, წრეებისა და სასპორტო სექციებისადმი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფიზიკური აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ფიზკულტურული მოძრაობის ამოცანათა გადაჭრაში უდიდესი როლი ეკუთვნით ჩვენს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს. მათ უნდა ახსოვდეთ ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მითითება საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე, რომ „პარტიული ორგანიზაციები სერიოზული ყურადღებით უნდა მოეკიდონ ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაშლის საკითხებს და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ჯანსაღი თაობის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს".

ა. ბონდარევი
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე

ტოლიატის გამოსვლა გენუაში

რომი, 7 მარტი. (საკდესი). გუშინ გენუაში სახალხო დემოკრატიული ფრონტის მიერ მოწყობილ მიტინგზე გამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ტოლიატი. დარბაზში, აგრეთვე ახლო მდებარე მოედნებსა და ქუჩებში რადიოგადამცემებთან ტოლიატის სიტყვას ისმენდა 100 ათასზე მეტი კაცი.

არჩევნებს, რაც იტალიაში 18 აპრილს შესდგება, სთქვა ტოლიატიმ, უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო იტალიელებისათვის, არამედ მთელი ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვისაც. სხვანაირად არც შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ რა მნიშვნელობა აქვს იტალიას, რომელიც მდებარეობს კონტინენტებს შორის და ევროპის კონტინენტის ქვეყნებს შორის კომუნიკაციების კვანძში, და თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იტალიის მდგომარეობის მთელ სერიოზულობას იმ მომენტში, როცა ცდილობენ შეაკოწიწონ სამხედრო კავშირი.

„ასეთი კავშირის შექმნაზე, რომელიც ევროპას ორ ნაწილად ჰყოფს, მსჯელობენ ინგლისის მთავრობის ინიციატივით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერით და საფრანგეთისა და ბელგიის რეაქციული წრეების [illegible]

[illegible]

...რომ თავიდან ავიცდინოთ ომი, ძირფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი სოციალიზმის ქვეყანაა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ახალი მსოფლიო კონფლიქტი და ევროპის ხალხები ჩაბმული იქნებიან ახალ კატასტროფაში".

ტოლიატი გადავიდა ამერიკული „დახმარების" საკითხზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დე გასპერის მთავრობამ უარი სთქვა ანგარიში ჩაებარებინა იტალიისათვის ამ „დახმარების" შესახებ. ყველასათვის ცნობილია, სთქვა ტოლიატიმ, რომ ამერიკიდან მოდის საქონელი, მაგრამ ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რამდენი საქონელი მოვიდა და ვის გადაეცა, გაცემულ იქნა თუ არა ეს საქონელი მისი ღირებულების უფრო დაბალ ფასად, განაწილდა თუ არა მიუკერძებლად ყველა მოქალაქეს შორის თუ მხოლოდ იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, რომლებიც ზ-ნ დე გასპერის სურდა? ახალ პარლამენტში ჩვენ მოვითხოვთ ამის სრულ ანგარიშს ახლანდელი მთავრობის მოღვაწეებისაგან, რომელიც მაშინ, უეჭველია, აღარ იქნება იტალიის მთავრობა.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებისადმი დახმარებას, ეს დახმარება უეჭველია უნდა გამომდინარეობდეს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, როგორც ერთადერთი ქვეყნისაგან, რომელიც ომით გამდიდრდა. მაგრამ არ არის მართალი, რომ ამერიკის დაუხმარებლად ევროპის ქვეყნები ვერ შესძლებენ თავიანთი ეკონომიკის აღდგენას. ფაქტები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, როგორც მაგალითად, საბჭოთა კავშირის, აგრეთვე პოლონეთის, იუგოსლავიის, უნგრეთისა და ბულგარეთის მეურნეობის აღდგენა. [illegible]

[illegible]

...ლია, რომ 18 აპრილს ნათელი გაფრთხილება მისცეს ამერიკული პოლიტიკის რეაქციონერ ხელმძღვანელებს და გააგებინოს მათ, რომ ევროპაში არსებობს მრავალმილიონიანი ხალხი, რომლის უმრავლესობასაც სურს ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან და ხალხთან, მათ შორის ამერიკელ ხალხთანაც, მაგრამ არ სურს ომის პოლიტიკა. 18 აპრილის არჩევნების შედეგებმა გამბედაობა უნდა ჩაუნერგოს ევროპის ხალხებს".

ლეიბორისტთა ლიდერების გალაშქრება „კომუნიზმის" წინააღმდეგ

ლონდონი, 5 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს პოლიტიკური მიმომხილველი ფრეზერ უაიტონი სწერს, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ აშკარა ომი გამოუცხადა კომუნისტებსა და „თანამგზავრებს".

ლორდმა პაკენჰემმა, რომელიც 3 მარტს პარლამენტში გამოვიდა მთავრობის სახელით, განმარტა გაფრთხილება, რასაც ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის განცხადება შეიცავს, და აშინებდა ინგლისის პროფკავშირებსა და სხვა ორგანიზაციებში კომუნიზმის შეღწევის „საფრთხით".

ტრედ-უნიონების კონგრესს და სხვა ლეიბორისტულ ორგანიზაციებს უფლება მიეცემათ საკუთარი მეთოდებით იბრძოლონ იმის წინააღმდეგ, რაც ლეიბორისტთა წრეების აზრით, წარმოადგენს საფრთხეს, რომელსაც, პაკენჰემის სიტყვით, შეუძლია „ისინი ჩაჰყლაპონ".

უკანასკნელ კონტროლიონისძიებას, რაც ლეიბორისტულმა პარტიამ იხმარა კომუნისტური საქმიანობის წინააღმდეგ, წარმოადგენს უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე დელეგატის გაგზავნაზე უარისთქმა.

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის" პოლიტიკურ მიმომხილველ იდენს მიაჩნია, რომ ლორდთა პალატაში გამოსვლით პაკენჰემმა დაიწყო „მთავრობის ომი" კომუნისტებისა და მათი თანამგზავრების წინააღმდეგ.

იდენი განაგრძობს: „სოციალისტი ორგანიზატორები და კაბინეტის წევრები ცდილობენ შეიმუშაონ გეგმები იმისათვის, რომ პარტიიდან განსწმინდონ თანამგზავრები. ამან შეიძლება მიიღოს მოთხოვნის ფორმა, რომ ყველა პარტიულმა ორგანომ, პროფკავშირთა და სხვა ორგანიზაციათა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელნიც დაკავშირებული არიან მთავრობასთან, დაიწყონ ყველა იმ პირთა პოლიტიკური შეხედულების შემოწმება, რომელთაც პასუხსაგები პოსტები უკავიათ და შეუძლიათ გავლენა იქონიონ სხვებზე. შესაძლებელია, წინადადება მიეცეთ გადააყენონ ის პირები, რომელთა შეხედულებანიც საეჭვოდ მიაჩნიათ".

გაზეთი „დეილი ჰერალდი" სარედაქციო სტატიაში მოწონებით იმეორებს პაკენჰემის აზრს ანტიკომუნისტური ლაშქრობის შესახებ.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საომარი მოქმედება

ჩრდილოეთი შენსი, 6 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა 3 მარტს შენსის პროვინციაში დაიკავეს ქალაქი იჩუანი (ხანსის სამხრეთ-აღმოსავლეთით). იჩუანისათვის ბრძოლაში განადგურებულია გომინდანის 4 ბრიგადა და 2 პოლკი.

სამი დღით ადრე ამავე სექტორში განადგურებულ იქნა გომინდანის 2 დამკვრელი დივიზია.

მეორე ცნობაში სააგენტო გადმოგვცემს, რომ მანჯურიაში საზღვაო ნავსადგურ ინკოუსათვის ბრძოლაში, რომელიც ამას წინათ სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა, და რკინიგზის სადგურისათვის ტაიიანის მახლობლად (მუკდენის ჩრდილო აღმოსავლეთით) ტყვედ წამოყვანილია 5.888 გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოკლული და დაჭრილია 600 ჯარისკაცი და ოფიცერი. მოკლულთა შორის რამდენიმე გენერალია.

წამოყვანილია დიდძალი ალაფი, მათ შორის ყინულმჭრელი „ჩრდილოეთი პოლუსი", რომლის ეკიპაჟში ამერიკელი ინჟინერი აღმოჩნდა.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების თათბირი ავსტრიის საკითხებზე

ლონდონი, 6 მარტი. (საკდესი). გუშინ შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების მორიგი სხდომა ავსტრიის საკითხებზე. სსრ კავშირის წარმომადგენელი კოქტომოვი შეეხო წინანდელ სხდომაზე საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან ავსტრიაში გერმანიის ყოფილი აქტივების გადაცემას სსრ კავშირისათვის, და თათბირის მონაწილეებს მოაგონა, რომ პოტსდამის გადაწყვეტილებათა ძალით სსრ კავშირზე გადავიდა აღმოსავლეთ ავსტრიაში გერმანიის ყველა ყოფილი აქტივის საკუთრების უფლება. მაგრამ, — აღნიშნა კოქტომოვმა, — ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების მალე დადების მიზნით საბჭოთა დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე გასული წლის დეკემბერში განაცხადა: იგი მზად არის დაკმაყოფილდეს, რომ გერმანიის აქტივების მთელი 100 პროცენტი, რომლის საკუთრების უფლებაც საბჭოთა კავშირზე გადავიდა, საბჭოთა კავშირს დარჩეს. ამის შესაბამისად 1948 წლის იანვარში შემოტანილ იქნა საბჭოთა ახალი წინადადებანი.

უდავოა, რომ საბჭოთა კავშირი ავსტრიასთან [illegible] თვან გერმანიის რეპარაციების ნაწილი. ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენლები ახლა წინადადებას იძლევიან საბჭოთა კავშირს დარჩეს ავსტრიაში ახლანდელი ნავთმოპოვების მხოლოდ 30-40 პროცენტი, ე. ი. მნიშვნელოვნად ნაკლები, ვიდრე საფრანგეთის წინადადებითაც კი იყო გათვალისწინებული.

დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა სთქვა, რომ ცალკეული დელეგაციების მიერ გამოთქმული სურვილი საზავო ხელშეკრულების მალე დადების შესახებ და განცხადება, რომ ისინი თანაგრძნობით ეკიდებიან საბჭოთა კავშირს გერმანიისაგან რეპარაციების მიღების საკითხში, საქმით არ მტკიცდება და ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ფაქტიურ პოზიციებს. საქმე არა მარტო ის არის, რომ აღიარებულ იქნას რეპარაციების უფლება საბჭოთა კავშირის ან სხვა მოკავშირე სახელმწიფოსათვის, მნიშვნელოვანია, რომ ეს უფლება ქაღალდზე არ დარჩეს.

საფრანგეთის წარმომადგენელი შერიერი სჩიოდა იმის გამო, რომ „ისეთი გულუხვი წინადადება, როგორიც საფრანგეთის წინადადებაა, ესოდენ მკაცრად გააკრიტიკეს", და სთქვა, რომ [illegible]

[illegible]

...დელეგაციები, შესაძლებელია, გადასდგამენ „პატარა ნაბიჯს".

შემდეგ კოქტომოვმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის წარმომადგენელი შერიერი ახლა წინადადებას იძლევა გარკვეული ვადით შეიზღუდოს საბჭოთა კავშირის საკუთრების უფლება ნავთგადამმუშავებელ ქარხნებსა და ნავთის პროდუქტების გასაღების საწარმოებზე. ასეთი წინადადება არსებითად ნიშნავს ცდას პოტსდამის შეთანხმების დარღვევით საბჭოთა კავშირს წაართვას [illegible] დელეგაციის პოზიცია აიოკლეს.

საბჭოთა წარმომადგენელმა კოქტომოვმა უპასუხა, რომ საბჭოთა დელეგაცია დიდ დათმობაზე წავიდა და ახლა მოლაპარაკების წარმატება დამოკიდებულია სხვა დელეგაციების პოზიციაზე, რომელთაც ჯერ არ გამოუჩენიათ ნამდვილი სურვილი საქმიანად გადასჭრან საკითხი ავსტრიაში გერმანიის აქტივების შესახებ.

მოადგილეთა შემდეგი სხდომა დანიშნულია 8 მარტისათვის.

იაპონიის სამოკავშირეო საბჭოს ამერიკული წარმომადგენლის უხეში თვითნებობა

ტოკიო, 5 მარტი. (საკდესი). 3 მარტს შესდგა იაპონიის სამოკავშირეო საბჭოს მორიგი 53-ე სხდომა. დღის წესრიგში იდგა საკითხი „იაპონიის ახალი მთავრობის შესახებ", რომელიც შეიტანეს სამოკავშირეო საბჭოში სსრ კავშირის წარმომადგენლის გენერალ კისლენკოს მტკიცე მოთხოვნით.

თავის განცხადებაში გენერალმა კისლენკომ აღნიშნა დღის წესრიგის ამ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა საბჭოს წევრებისათვის, ვინაიდან იაპონიის მომავალი მთავრობისა და მთავრობის შემადგენლობაში შესულ პირთა ხასიათზე ბევრად იქნება დამოკიდებული იაპონიის დემოკრატიზაციის განხორციელება და მისი როგორც დემოკრატიული და მშვიდობიანი სახელმწიფოს აღდგენა.

[illegible]

...აგრესიული ნაციონალიზმის იდეების აქტიური მატარებელნი ან როგორც მილიტარისტების აქტიური ხელშემწყობნი.

როცა კისლენკო გადავიდა ისეთი პოლიტიკური მოღვაწეების დახასიათებაზე, როგორიც არიან ასიდა, მორიტო, მიკი, ხიტოცუმაცუ და ხატანო, რომლებიც ჩამოცილებულ უნდა იქნან პოლიტიკურ საქმიანობას თავიანთი წინანდელი მილიტარისტული საქმიანობისათვის, მაგრამ რომლებიც, მიუხედავად ამისა, ამჟამად აქტიურ მონაწილეობას იღებენ იაპონიის ახალი მთავრობის შედგენაში, და განიზრახა შეეტანა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ამგვარი პირები არ ყოფილიყვნენ დაშვებული მთავრობის შემადგენლობაში, საბჭოს თავმჯდომარემ ამერიკელმა სებოლდმა შეაწყვეტინა კისლენკოს [illegible]

[illegible]

...განხორციელება, განაცხადა კისლენკომ, არც იყო მოსალოდნელი სიდებარას, იოსიდას ან კატაიამას მთავრობებისაგან, ვინაიდან მათ შემადგენლობაში სახელმწიფო მინისტრებად იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც უნდა ჩამოცილებულიყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას როგორც მილიტარიზმისა და [illegible] შორის წარმომადგენლის განცხადებას.

სებოლდის საქციელმა არავინ უნდა გააკვირვოს, ვინაიდან იაპონიის რეაქციონერთა დაცვით იგი მხოლოდ მისდევდა ამერიკის პოლიტიკას, რომელმაც არა ერთხელ ცხადჰყო თავისი კეთილი განწყობილება მილიტარისტული იაპონიისადმი.

პროგრესულ მოღვაწეთა დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). პროგრესული პროფკავშირული მოღვაწეებისა და კომპარტიის წევრების დევნის გაძლიერებული კამპანია სულ უფრო მეტ პროტესტს იწვევს, მათ შორის ისეთი ლიბერალური გაზეთების მხრივ, როგორიცაა „ნიუ-იორკ პოსტი" და „პ. მ".

„ნიუ-იორკ პოსტის" აზრით, ბუნდოვანია საკითხი, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტთა დაპატიმრებასთან მათი გადასახლების მიზნით. გაზეთი კუნძულ ელისზე დაპატიმრებას სთვლის „დემოკრატიისათვის სერიოზულ საფრთხედ" და აღნიშნავს, რომ „უმცირესობის ჯგუფის" გადასახლება საშიშ პრეცედენტს წარმოადგენს, ვინაიდან ეგრეთწოდებული „საშიში აზრების" წრე შეიძლება გაფართოვდეს. „ჯერ გადაასახლებენ ცნობილ კომუნისტებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენი არ არიან, მაგრამ შემდეგ დადგება დრო, როცა საჭირო იქნება იმ უცხოელთა ინტერნირება, რომლებზეც მხოლოდ ეჭვი აქვთ, რომ ისინი არიან კომუნისტები, ან „მემარცხენეები", ან თუნდაც „ლიბერალები".

თვალსაჩინო ანტიფაშისტთა დევნასთან დაკავშირებით მებეწვეულეთა პროფკავშირმა 3 მარტს მოიწვია კრება, რომელსაც 2.000 კაცი დაესწრო. ორატორები მიესალმნენ პროფკავშირულ მოღვაწეს, — კომპარტიის წევრ პოტაშს მას შემდეგ, რაც იგი განთავისუფლებულ იქნა თავდებით ელისის კუნძულიდან. პოტაშმა მუშებს მიმართა მოწოდებით მხარი დაუჭირონ კუნძულ ელისზე სხვა ინტერნირებულთ.

მებეწვეულეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ გოლდმა განაცხადა, რომ პოტაშის დაპატიმრება დაკავშირებული იყო პროფკავშირთა მეწარმეებთან მოლაპარაკებასთან, რომლებიც ცდილობენ გააუქმონ პროფკავშირთა მონაპოვარნი და შეამცირონ ხელფასი. იგი მუშებს მოუწოდებდა „კარგად დაფიქრდნენ იმ კავშირზე, რომელიც არსებობს მეწარმეთა პოზიციასა და პოტაშის დაპატიმრებას შორის, აგრეთვე მუშათა საწინააღმდეგო ტაფტ-ჰარტლის კანონზე, მარშალის გეგმასა და პოლიტიკაზე".

3 მარტს პოტაშმა გამოვიდა მიტინგზე, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო.

„დეილი უორკერი" იუწყება, რომ 500 კომუნისტმა 2 მარტს საღამოს ბროდვეის (ნიუ-იორკი) რაიონში მასობრივად დაარიგა გაზეთი „დეილი უორკერი", რომელშიც გამოქვეყნებული იყო ელისის კუნძულზე ინტერნირებულ პირთა ანგარიშები.

პრეზიდენტის პოსტის კანდიდატი მესამე პარტიისაგან უოლესი სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „ნიუ-რიპაბლიკში", აგრეთვე ჰგმობს საიმიგრაციო ხელისუფალთ და აცხადებს, რომ მათი მოქმედება საფრთხეს უქმნის სამოქალაქო უფლებებს შეერთებულ შტატებში. იგი ლაპარაკობს ერთ ნამდვილ შემთხვევაზე, როცა ოფიციალური წარმომადგენლები ეკითხებოდნენ იმ პირს, რომელმაც განცხადება შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობაში მიღების შესახებ, იცნობს თუ არა იგი უოლესს. უოლესი სწერს, რომ ეს კაცი კომუნისტი არ არის. იგი აპირებდა მხარი დაეჭირა უოლესის კამპანიისათვის. მაგრამ ამჟამად შიშობს, ხომ არ შეუშლის ეს ხელს ამერიკის მოქალაქეობის მიღებაში. უოლესმა განაცხადა, რომ ბევრ შემთხვევაში მეწარმეები მუშებს ითხოვდნენ იმისათვის, რომ ისინი ატარებდნენ ნიშნებს უოლესის გამოსახულებით. მან სთქვა, რომ მეწარმეებიც კი ფარულად უწევენ დახმარებას უოლესის კამპანიას, ვინაიდან ეშინიათ, რომ მათი კოლეგები დისკრიმინაციის განახორციელებენ მათს წინააღმდეგ. უოლესმა განაცხადა: „შეერთებულ შტატებში ფეხაკრეფით მოიპარება შავბნელი შიში. ჯერჯერობით იგი მუშებს როდი ხვრეტს. მისი მეთოდი ის არის, რომ ჩაახშოს ყოველი პროგრესული აზრი დახელოვნებული ტერორიზმის გზით". არა მარტო საიმიგრაციო ხელისუფალნი, არამედ გამოძიების ფედერალური ბიურო და იუსტიციის სამინისტროც ამ ტერორს ფარულად ვერაგული სახით ავრცელებენ".

მეცნიერმა კონდონმა ანტიამერიკული მოღვაწეობის გამომკვლევი კომისიის წინააღმდეგ კონტრშეტევის წესით, რომელსაც ამ კომისიამ ბრალად დასდო არალოიალობა, წერილით მიმართა კონგრესის ატომის ენერგიის საკითხთა გაერთიანებულ კომისიის თავმჯდომარეს, სენატორს აიოვის შტატიდან, რესპუბლიკელ ჰიკენლუპერს და მოითხოვა, რომ კონგრესმა გამოიკვლიოს მთელი ეს საქმე, რათა „ბოლო მოეღოს იმ მეცნიერთა სახელის გატეხის ცდებს, რომლებიც მთავრობის სამსახურში არიან ან ამ სამსახურის გარეშე იმყოფებიან". იგი მოუწოდებს ამერიკელ მეცნიერებს საჯაროდ დაგმონ ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისია როგორც „არა მარტო ამერიკის თავისუფლების, არამედ ამერიკული მეცნიერების მტერი".

საბჭოთა რეპატრიანტების ბანაკი „ბორეგარი" საფრანგეთის ხელისუფალთა თავდასხმის შემდეგ

პარიზი, 5 მარტი. (საკდესი). როგორც ცნობილია, საბჭოთა რეპატრიანტების ბანაკ „ბორეგარზე" საფრანგეთის პოლიციის თავდასხმის შემდეგ, რეპატრიაციის შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა შეთანხმების დარღვევით იქ დაწესებულ იქნა შინაგანი ფრანგული ადმინისტრაცია.

ამ ღონისძიების შედეგად საფრანგეთის ხელისუფლებმა ბანაკში მყოფ საბჭოთა რეპატრიანტებისათვის აუტანელი რეჟიმი შექმნეს. ბანაკს ანტისანიტარულ პირობებში ინახავენ. საბჭოთა მოქალაქეები უპატრონო, გაუთბობელ ბარაკში ცხოვრობენ. ამჟამად დახურულია ბანაკის კლუბი, სადაც წინათ რეგულარულად აჩვენებდნენ საბჭოთა ფილმებს, აწყობდნენ კონცერტებს და თვითმოქმედების საღამოებს.

ბანაკში ყოველდღე მიდიან ადგილგადანაცვლებულნი და ყოფილი სამხედრო ტყვეები, საბჭოთა მოქალაქეები, მაგრამ როცა გაიგებენ, თუ რა პირობებში ინახავენ საბჭოთა მოქალაქეებს ბანაკში და რომ გაგზავნის ვადები გამოურკვეველია, [illegible]

[illegible]

...ბა მოწმობს არა მარტო იმას, თუ რა არაადამიანურად ეპყრობიან გერმანიის ტყვეობით და უცხოეთში ხეტიალით განაწამებ საბჭოთა მოქალაქეებს, არამედ აგრეთვე ყოველგვარ დაბრკოლებას სამშობლოში მათი დაბრუნების საქმეში.

სსრ კავშირის ელჩმა რუმინეთში ს. ი. ქავთარაძემ რწმუნების სიგელები გადასცა

ბუქარესტი, 6 მარტი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ელჩმა რუმინეთში ს. ი. ქავთარაძემ რწმუნების სიგელები გადასცა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი პრეზიდიუმის თავმჯდომარეს აკადემიკოს კ. პარხონს. სიგელების გადაცემას დაესწრნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრები — პრემიერ-მინისტრი დოქტორი პეტრუ გროზა, საგარეო საქმეთა მინისტრი ანა პაუკერი. ამხ. ქავთარაძემ პრეზიდიუმს წარუდგინა საბჭოთა საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა.

„ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის" ეროვნული კომიტეტი მხარს უჭერს უოლესის კანდიდატურას

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). [illegible]

[illegible]

...მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის პროგრამას.

პირინსკიმ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა შეასრულონ პოტსდამის გადაწყვეტილებანი გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის შესახებ.

კომიტეტმა აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება კონგრესის ბეჭდვითი ორგანოს „სლევიკ ამერიკელის" ტირაჟისა და მოცულობის გადიდების შესახებ.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. [illegible] სილინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ჩეხოსლოვაკიაში.

სახანძრო დაცვის მუშაკთა თათბირი

სახელმწიფო დოვლათისა და კერძო მოქალაქეთა ქონების ხანძრისაგან დასაცავად დიდ მუშაობას ასრულებენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის ორგანოები. ჩვენი მეხანძრეების ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს არა მარტო უკვე მომხდარი ხანძრის ლიკვიდაცია, არამედ ხანძრის გამომწვევი ყველა მიზეზის წინასწარ აღმოფხვრა. ამ ამოცანის შესასრულებლად წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკის რაიონების სახანძრო განყოფილებები, ჩვენმა მეხანძრეებმა თავიანთი ენერგიული მუშაობით, ხანძრის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ზომების ფართოდ გატარებით, ამ საკითხის გარშემო ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის მტკიცედ დარაზმვით 1947 წელს მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს და რესპუბლიკის მასშტაბით ხანძრის შემთხვევები მინიმუმამდე დაიყვანეს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველომ ამ დღეებში ჩაატარა მეხანძრეთა რაიონული ინსპექტორების რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც „1947 წელს ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებისა და სახანძრო ორგანოების 1948 წლის საბრძოლო ამოცანების შესახებ" მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო უშიშროების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე პოდპოლკოვნიკი ვ. ბარამიძე.

მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ სახანძრო დაცვის რაიონული ინსპექტორები ამხ. მიქაშვილი (კაჰრეთი), ალექსეევი (ჩოხატაური), ქელბაქიანი (ქუთაისი), ქაჩიბაია (სოხუმი), ზაბურტსკი (ახალქალაქი), გუგუნია (ოჩამჩირე), გაბარაევი (სტალინირი), ისიანი (ზუგდიდი), სიხარულიძე (ფოთი), ბერიძე (ახალციხე) და სხვები.

დასასრულ თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი პოდპოლკოვნიკი ვ. თურომიძე.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მ ნ ა თ ო ბ ი № 2

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის" მეორე ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია ლეო ქიაჩელის — „ჯოტის მამა" (რომანი, გაგრძელება), [illegible]

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

6 მარტს შესდგა მერვე ტური. შიშოვმა მოუგო ბუსლაევს, ებრალიძემ—ფხაკაძეს, ქარსელაძემ—ასოევსკის, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

7 მარტს მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება. შიშოვმა მოუგო ფხაკაძეს, ებრალიძემ—ლონლაძეს, ბლიძემ—ქარსელაძეს.

დღეს, 9 მარტს შესდგება მეათე ტური.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

9 მარტს: ოპერისა და ბალეტის — „ტრავიატა"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ცეცხლის მასწავლებელი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ჰაბეკუკთან შეხვედრა"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ალუბლები ჰყვავიან", **რუსული** — „მშვენიერი ვასილისა".

რუსთაველის სახელობის თეატრი

9 მარტს უ. შექსპირის პიესის „ოტელოს" წარმოდგენა არ შესდგება. სპექტაკლი გადატანილია 11 მარტისათვის. 9 მარტისათვის შეძენილი ბილეთები გამოდგება 11 მარტის წარმოდგენაზე.

საქართველოს „მთავართევზგასაღების" ხაფირმო მაღაზიებში პლეხანოვის პროსპექტი № 80 და პუშკინის ქუჩა № 9 მუდმივად არის ფართო ასორტიმენტის თევზეული.

მაღაზიებში იყიდება ახალ გაყინული, დამარილებული, შებოლილი თევზეული, დოში, კულინარული თევზეულის ნაწარმი და სხვა დელიკატესები.

მუდმივად არის მაღალხარისხოვანი მარცვლოვანი და გაწურული ხიზილალა.

მაღაზიები ვაჭრობენ ყოველდღიურად დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე გარდა უქმე დღეებისა.

„გლავრიბსბიტის" საცალო სავაჭრო კანტორა

გ. ა. გოჩაშვილი, ა. ი. ჩიტაიშვილი, ბ. ი. კიზირია, მ. გ. მემარნიშვილი, შ. რ. ბაქრაძე, ა. გ. ქურდიანი, ა. ი. დავითიანი, რ. ი. კაჭარავა, ვ. ი. ჩომახიძე, ბ. გ. ბარამიძე, ზ. ა. ქურდიანი, ნ. ი. ცისკაძე, გ. დ. ეპიტაშვილი, კ. ი. ცაგარელი, ი. ა. დარჩია, დ. მ. ნოსელიძე, ნ. კ. ბარკალაია, მ. ტ. სანიკიძე, ზ. ა. კერესელიძე, გ. ი. კობახიძე, გ. დ. ზუქანიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ლ. ხომერიკს მისი მამის **ლავრენტი საყვარელის-ძე ხომერიკის** გარდაცვალების გამო.

თბილისის საბინაო სამმართველოს ლუმელმცველის სამეურნეო ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან **ლავრენტი საყვარელის-ძე ხომერიკის** გარდაცვალებას.

დედა ეკატერინე, დეიდა ნატა გვირიშაძე, და თინა, სიძე შალვა რუხაძეები შვილებით იუწყებიან **პეტრე დავითის-ძე ნიჟარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-III, 7 ს. გამოსვენება 11-III, 5 ს. ნეკრასოვის, 2.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **ლავრენტი საყვარელის-ძე ხომერიკის** გარდაცვალებას.

ლიდა მგალობლიშვილი, ნინო ნიკოლაიშვილი და გვიტია სანადირაძე ოჯახებით იუწყებიან **პეტრე დავითის-ძე ნიჟარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-III, 7 ს. გამოსვენება 11-III, 5 ს. ნეკრასოვის, 2.

აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის **არსენ ზურაბის-ძე ონიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-III, 7 ს. გამოსვენება 10-III, 4 ს. ჯაფარიძის, 18.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83, კულტურის, უოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამოცემლობის —3-41-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00354